

ყველაზე თანამედროვე მკურნალობა ინსულტის ცენტრში



დღეს ინსულტი ისეთ დიდ პრობლემად აღარ მიიჩნევა, როგორც სულ რამდენიმე წლის წინ მიაჩნდათ. მკურ-

ნალობის თანამედროვე მეთოდებმა პრაქტიკულად მინიმუმამდე დაიყვანა ინსულტით გამოწვეული სიკვდილიანობისა და შრომისუნარობის მაჩვენებელი.

ერთ-ერთი უახლესი მიდგომა საქართველოში ორი წლის წინ დანერგა ქირურგიის ეროვნულმა ცენტრმა. აქ, ინსულტის ცენტრში, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლას თრომბოლიზისა და თრომბექტომიის საშუალებით მკურნალობენ.

გვესაუბრება ინსულტის ცენტრის ექიმი, ქირურგიის ეროვნული ცენტრის ნეიროქირურგიის მმართველების ხელმძღვანელი გიორგი ჯგერბიძე:

— ინსულტს, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლას, შემთხვევათა 85%-ში იშემია, სისხლის მიწოდების შეფერხება იწვევს. იშემია ხშირად სისხლძარღვში თრომბის ჩაჭედვის შედეგია. ჩაჭედვით თრომბი ახშობს სისხლძარღვის სანათურს, ტვინის კონკრეტულ უბანს სისხლის მიწოდებას უზღუდავს და ტვინის ინფარქტს განაპირობებს.

მთავარი პრინციპი

— იშემიური ინსულტის სამკურნალოდ ვიყენებთ თრომბოლიზისურ თერაპიას, რაც თრომბის დაშლას გულისხმობს. ამისთვის არსებობს პრეპარატი აქტილიზე, რომელსაც ან ვენიდან შევუშვებთ სისხლის მიმოქცევის სიტემაში, ან უშუალოდ თრომბთან შევკვავს. დაშლილი ან ჩაჭედვით თრომბის გამოსაღებად მცირე ინვაზიური ენდოვასკულური მანიპულაცია — თრომბექტომიის მიმართავთ. თრომბის მოცილების შედეგად სისხლძარღვის გამტარობა სრულფასოვნად აღდგება.

არავითარი განაკვეთი

— ენდოვასკულური მანიპულაციებისთვის განკუთვნილი აპარატურა საშუალებას გვაძლევს, სისხლძარღვის გავლით უშუალოდ დაზიანებულ ადგილამდე მივიდეთ და იქ ვიმოქმედოთ. ინსულტის შემთხვევაში თავის ტვინის დაზიანებულ სისხლძარღვამდე მისაღწევად საკმარისია ბარდაყის არტერიაში ერთი ჩხვლეტა. არავითარი განაკვეთი არ კეთდება, სხეულზე ღია ჭრილობა არ ჩნდება, რაც ამ მეთოდის დიდი უპირატესობაა. მანიპულაცია ნაკლებად ტრავმულია, გართულების თვალსაზრისით ნაკლებსარისკო და კლინიკაში დაყოვნებასაც უფრო მცირე ხნით მოითხოვს.

ქირურგიის ეროვნულ ცენტრში გამოკვლევები და სამკურნალო პროცედურები საუკეთესო მონაცემების მქონე აპარატით — SHI-MAZU-ს ფირმის ორმკლავიანი ანგიოგრაფით TRINIAS B12-ით

ტარდება. ეს აპარატი ერთადერთია რეგიონში და უნიკალური ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. ძალიან დახვეწილია თრომბექტომიის შესასრულებელი Penumbra-ს სისტემა, რომელიც მთელ მსოფლიოში ყველაზე ეფექტიანად არის მიჩნეული.

ლიმიტირებული დრო

— თრომბოლიზისის დაწყების ოქროს სტანდარტად ითვლება აქტილიზეს გადასხმა ინსულტის განვითარებიდან სამი-ოთხნახევარი საათის ფარგლებში. ოთხსაათ-ნახევრის შემდეგ ამ მეთოდის გამოყენება აზრს კარგავს, ამიტომ აუცილებელია, პაციენტი რაც შეიძლება მალე მოხვდეს სამედიცინო დაწესებულებაში. რაც უფრო ადრე დაიწყება თრომბოლიზისი, მით უკეთესი იქნება შედეგი. მოგვიანებით პერიოდში შესაძლებელია თრომბექტომიის ჩატარება. მის ოქროს სტანდარტად მიიჩნეოდა ინსულტიდან ექვსი საათი. ბოლო რეკომენდაციებით, ეს დრო შეიძლება 24 საათამდე გაიზარდოს, მაგრამ ამ შემთხვევაში პაციენტის მდგომარეობა მკაცრ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს.

საუკეთესო შედეგისთვის

— თუ პაციენტი უმოკლეს ხანში მოხვდა ქირურგიის ეროვნულ ცენტრში, დიდი შანსია, მკურნალობამ იდეალური შედეგი გამოიღოს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მდგომარეობა თრომბოლიზისისა და თრომბექტომიის სტანდარტებში ჩაჯდა, ამ პროცედურებით ფაქტობრივად მთლიანად აღდგება ინსულტის შედეგად დაკარგული ფუნქციები: მოძრაობა, მეტყველება, — და პაციენტი სრულფასოვან ცხოვრებას დაუბრუნდება.

არ გამოგვაკაროთ

— ძალიან მნიშვნელოვანია, გარშემო მყოფებს არ გამოუპაროთ ინსულტის ნიშნები:

- სახის ასიმეტრია;
- მეტყველების გაძნელება ან მხედველობის დაბინდვა;
- ხელის ან ფეხის სისუსტე ან დაბუკება.

ამ ნიშნების შემჩნევისას პაციენტი ისეთ კლინიკაში უნდა გადაიყვანოს, სადაც ზემოაღწერილი ჩარევის შესაძლებლობაა. ამ შემთხვევაში მკურნალობა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული იქნება, პაციენტი, უდიდესი ალბათობით, გადარჩება და მაქსიმალურად შეინარჩუნებს შრომის უნარს.

შეკრული გუნდი

— ინსულტთან პაციენტებს მთელ მსოფლიოში ინსულტის ცენტრებში მკურნალობენ. ქირურგიის ეროვნული ცენტრის ინსულტის ცენტრიც, სხვების მსგავსად, გუნდურად მუშაობს. თითოეული პაციენტის მკურნალობაში მონაწილეობენ ინსულტის ცენტრის ექიმი, ნეიროქირურგი ინტერვენციონისტი, გადაუდებელი დახმარების ექიმი, ანესთეზიოლოგი, რეაბილიტოლოგი და სხვა პროფილის სპეციალისტები.

ინსულტის ცენტრში პაციენტის სრულფასოვანი გამოჯანმრთელებისთვის იბრძვიან.